თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2013 წლის 25 ივლისის სხდომის ოქმი #8

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 28, სტუდენტები – 3, სულ – 31 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

2. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კურდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

3. თსუ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

5. 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღების კონტინგენტის შესახებ.

   /ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

6. ტურიზმის სამაგისტრო და პროფესიულ პროგრამებზე ქვოტების განსაზღვრის შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

7. სასწავლო დისციპლინის ,,შრომის ეკონომიკა“ სილაბუსში საგნის სწავლების წინაპირობის შეცვლის Sესახებ.

   /ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

8. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ 2012-2013 წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევის შესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

9. სადოქტორო პროგრამის ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი" ტურიზმის განვითარების ინსტიტუტისათვის განსახორციელებლად გადაცემის შესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

10. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატის (კანდიდატების) წარდგინება.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

11. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ბატონი აკაკი ხელაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფაკულტეტის საბჭოს სწავლული მდივანი, ასოცირებული პროფესორი მარინე ნაცვალაძე ობიექტური მიზეზის გამო ვერ გაუძღვება სხდომას. დებულების თანახმად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მდივნის კანდიდატურად შესთავაზა ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31; წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 25 ივლისის #8 სხდომის სწავლულ მდივნად საბჭოს წევრი, ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან შემოვიდა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩამონათვალი იმ სტუდენტების, რომელთაც უნდა მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. დღეისათვის წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად 51 სტუდენტი წარჩინების დიპლომი, 406 სტუდენტს ჩვეულებრივი; ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარმოდგენილია 19 სტუდენტი წარჩინებული დიპლომი, 75 სტუდენტი ჩვეულებრივი დიპლომი.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის არ გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31; წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: შესაბამისი ხარისხი მიენიჭოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს:

1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი - 51 სტუდენტს დიპლომი წარჩინებით, 406 სტუდენტს - დიპლომი ჩვეულებრივი;
2. ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი - 19 სტუდენტს დიპლომი წარჩინებით, 75 სტუდენტს - დიპლომი ჩვეულებრივი;

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კურდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიდან შემოსული დოკუმენტაციის შემოწმების დროს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა აღმოაჩინა უზუსტობები. საბუთები დაბრუნდა უკან და განსახილველად წარმოდგება შემდეგ სხდომაზე.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოითქვამს

დაადგინეს: აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს შემდგომი სხდომისთვის.

მოისმინეს: თსუ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

წარმოდგენილია დოკუმენტები თსუ ევროპისმცოდნეობის პროგრამის 2012–2013 წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების გურანდა გუჯარაიძისა და ნონა ტატიაშვილისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის არ გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31; წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს <u>ევროპისმცოდნეობის მაგისტრის ხარისხი:</u>

1. *გურანდა გუჯარაიძე*
2. *ნონა ტატიაშვილი*

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულებს არასწორად ჰქონდათ მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ამჟამად ორმა სტუდენტმა - რუსუდან ბუაჩიძემ და გვანცა კაციტაძემ წარმოადგინეს განაცხადი, სადაც ითხოვენ ხარისხის სწორად მინიჭებას.

ასევე, დავით მაგასეევმა წარმოადგინა განცხადება, რომელმაც დაკარგა დიპლომის დანართი და ითხოვს მის აღდგენას. ვინაიდან, დავით მაგასეევმა თსუ დაამთავრა 2007 წელს და 2008 წელს მიენიჭა ხარისხი, შესაბამისად უნდა მოხდეს მისი კორექტირებაც, როგორც იმ დროისათვის არსებული მარეგულირებელი (განათლების მინისტრის ბრძანება 633) მოითხოვდა. საკითხი გართულდა, ვინაიდან სადაც ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი იყო მინიჭებული და უნდა ყოფილიყო ,,ბიზნესის მართვის„ აკადემიური ხარისხი, მარტივად გასასწორებელია, მაგრამ მინიჭებულია რიგი ხარისხებისა ეკონომიკის მიმართულებით, რომელიც შინაარსისა და რეგულაციის მიხედვით განეკუთვნება ბიზნესის მიმართულებას.

შესაბამისი დროისთვის მოქმედი რეგულაციის თანახმად (განათლების მინისტრის ბრძანება 633) კორექტირება უნდა განხორციელდეს თსუ რექტორის

#486/01–04 (24.03. 2008) და #33/01–04 (31.01.2007) ბრძანებების შემდეგ პროგრამებთან მიმართებაში:

1. *პროგრამის ,,წარმოების ეკონომიკა და მართვა აგროსამრეწველო კომპლექსში“ კურსდამთავრებულებს, ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,სოციალურ მეცნიერებათა“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
2. *პროგრამის ,,აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი“ კურსდამთავრებულებს, ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემური ხარისხი;*
3. *პროგრამის ,,მაკროეკონომიკა’ კურსდამთავრებულებს, ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,სოციალურ მეცნიერებათა“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
4. *პროგრამის ,,საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ კურსდამთავრებულებს, ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,სოციალურ მეცნიერებათა“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
5. *პროგრამის ,,შრომის ეკონომიკა და სოციოლოგია“ კურსდამთავრებულებს, ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,სოციალურ მეცნიერებათა“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
6. *პროგრამის ,,წარმოების ეკონომიკა და მართვა“ კურსდამთავრებულებს, ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,სოციალურ მეცნიერებათა“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
7. *პროგრამის ,,ეკონომიკური თეორია“ კურსდამთავრებულებს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,სოციალურ მეცნიერებათა“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
8. *პროგრამის ,,ფინანსები და საბანკო საქმე“ კურსდამთავრებულებს, ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
9. *პროგრამის ,,მეწარმეობის ეკონომიკა და მართვა“ კურსდამთავრებულებს, ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
10. *სპეციალობით ,,სახელმწიფო და მინიციპალური მართვა“ კურსდამთავრებულებს, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
11. *სპეციალობით ,,პერსონალის მართვა“ კურსდამთავრებულებს, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
12. *სპეციალობით ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ კურსდამთავრებულებს, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
13. *სპეციალობით ,,მენეჯმენტის“ კურსდამთავრებულებს, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*

14. *სპეციალობით ,,ეკონომიკური ინფორმატიკა“ კურსდამთავრებულებს, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
15. *სპეციალობას ,,ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა და მართვა“ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
16. *სპეციალობით ,,საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა“ კურსდამთავრებულებს, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
17. *პროგრამის ,,საერთაშორისო ბიზნესის მართვა“ კურსდამთავრებულებს, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად, მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31; წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: აღნიშნული ჩასწორება განხორციელდეს წარმოდგენილი შესწორებების შესაბამისად.

მოისმინეს: 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღების კონტინგენტის შესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე განისაზღვრა მისაღები კონტინგენტი, კერძოდ,
მაგისტრატურა: *ბიზნესის ადმინისტრირება - 200 ადგილი; ეკონომიკა - 100 ადგილი, ეკონომიკა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა) - 60 ადგილი და საერთაშორისო საწარმოთა მართვა - 25 ადგილი.*
დოქტორანტურა: *ბიზნესის ადმინისტრირება - 18 ადგილი; ეკონომიკა - 18 ადგილი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი - 2 ადგილი.*

აზრი გამოთქვა: სრულმა პროფესორმა ქეთევან მარშავამ

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31; წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღების კონტინგენტი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით:

მაგისტრატურა: ბიზნესის ადმინისტრირება - 200 ადგილი; ეკონომიკა - 100 ადგილი, ეკონომიკა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა) - 60 ადგილი და საერთაშორისო საწარმოთა მართვა - 25 ადგილი.

დოქტორანტურა: ბიზნესის ადმინისტრირება - 18 ადგილი; ეკონომიკა - 18 ადგილი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი - 2 ადგილი.

მოისმინეს: ტურიზმის *სამაგისტრო და პროფესიული* პროგრამებზე ქვოტების განსაზღვრის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

აღინიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 10 სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება. აგრეთვე, აკრედიტაციის რეჟიმში არის ტურიზმის სამაგისტრო და პროფესიული პროგრამები. შემოსულია ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელის პროფესორ მაია მარგველაშვილის განცხადება, რომელიც პროგრამების წარმატებით აკრედიტაციის შემთხვევაში ითხოვს ტურიზმის პროგრამებზე ქვოტების დამტკიცებას, კერძოდ ტურიზმის პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს შემდეგი სახით:
1. ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა - 20 სტუდენტი;
2. პროფესიულ პროგრამებზე: გიდის (ტურის მეგზურის) ბიზნესი მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა - 100 სტუდენტი;
3. სასტუმრო-საკურორტო მენეჯმენტი მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა - 100 სტუდენტი;
4. ტურიზმის მენეჯმენტის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა - 100 სტუდენტი.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის არ გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30; წინააღმდეგი – 1

დაადგინეს: ტურიზმის სამაგისტრო და პროფესიულ პროგრამებზე მისაღების კონტინგენტი დამტკიცდეს შემდეგი სახით:
1. ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა - 20 სტუდენტი;
2. პროფესიულ პროგრამებზე: გიდის (ტურის მეგზურის) ბიზნესი მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა - 100 სტუდენტი;
3. სასტუმრო-საკურორტო მენეჯმენტი მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა - 100 სტუდენტი;

4. ტურიზმის მენეჯმენტის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა - 100 სტუდენტი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ 2012-2013 წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევის შესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

შემოსულია თსუ საგამოცდო ცენტრის უფროსის ინფორმაცია სტუდენტის ავთანდილ შოთნიაშვილისა და შამშე ლოლაძის მიერ 2012-2013 წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას შინაგანაწესის დარღვევის შესახებ.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოითქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31; წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ 2012-2013 წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევების შემთხვევებზე სტუდენტებს: ავთანდილ შოთნიაშვილისა და შამშე ლოლაძეს გამოეცხადოთ საყვედური თსუ შინაგანაწესისა და დისციპლინალური პასუხისმგებლობის ნორმების 35 მუხლის, მე-7 პუნქტის მიხედვით, თსუ ეთიკის კოდექსის 3.4.3-ით სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევის გამო (შესაბამისი დოკუმენტი ჩაიდოს პირად საქმეში).

მოისმინეს: სასწავლო დისციპლინის ,,შრომის ეკონომიკა" სილაბუსში საგნის სწავლების წინაპირობის შეცვლის Sესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელთა სხდომის ოქმიდან (2013 წელი 22 ივლისი) ამონაწერი, რომელშიც წარმოდგენილია კათედრის გამგის პროფესორ ნოდარ ხადურის ინფორმაცია დისციპლინაში ,,შრომის ეკონომიკა" სილაბუსში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ, სილაბუსში არის ტექნიკური შეცდომა: საგანის ,,შრომის ეკონომიკა" არჩევის წინაპირობად ,,მაკროეკონომიკა 1"–ის ნაცვალად უნდა იყოს ,,მაკროეკონომიკის პრiნციპები".

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრებს შორის აზრი არავის გამოითქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31; წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მოხდეს ტექნიკური შეცდომის გასწორება და საგანში ,,შრომის ეკონომიკა“ სილაბუსში ,,მაკროეკონომიკა 1“–ის ნაცვალად წინაპირობად ჩაიწეროს ,,მაკროეკონომიკის პრინციპები“. შესწორების შეტანა დაევალოს შესაბამის სამსახურს.

მოისმინეს: სადოქტორო პროგრამის ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტისათვის განსახორციელებლად გადაცემის შესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა, ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ შემოსულია ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელის, სრული პროფესორის მაია მარგველაშვილის წერილი სადოქტორო პროგრამის ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტისათვის განსახორციელებლად გადაცემის შესახებ.

აზრი გამოთქვა: სრულმა პროფესორმა ქ. მარშავამ, სრულმა პროფესორმა მ. მარგველაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31; წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:
1. სადოქტორო პროგრამა ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ განხორციელდეს ტურიზმის განვითარების ინსტიტუტში.
2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების დამტკიცება.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატის (კანდიდატების) წარდგინება.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა, ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დებულება და წესდება ითვალისწინებს საბჭომ წარადგინოს კანდიდატები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, რომელიც შემდგომ შეჯერებული იქნება უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შესწავლის, ანალიზისა და ინტერვიუს შედეგად.

გამომდინარე იქიდან, რომ სემესტრი დასრულდა, საჭიროა კანდიდატების შესწავლა. სემესტრის დაწყების წინ ფაკულტეტს უნდა ჰყავდეს არჩეული სამსახურის უფროსი. საბჭოზე უნდა დასახელდეს კანდიდატები და შესწავლა მოხდეს შემდგომ. თუ იქნება სამზე მეტი კანდიდატი, მაშინ ჩატარდება კენჭისყრა. დღეისათვის წარმოდგენილია კანდიდატები სამი კათედრიდან: მიკროეკონომიკის კათედრა - ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი; ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა - ნინო პაპაჩაშვილი; ეკონომიკური პრინციპების კათედრა - მარინე ნაცვალაძე.

აზრი გამოთქვა: 1. სრულმა პროფესორმა **ქეთევან მარშავამ,** რომელმაც მოითხოვა განმარტება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელად ასისტენტ–პროფესორის არჩევის წესის შესახებ.

2. ფაკულტეტის დეკანმა **აკაკი ხელაძემ** განმარტა, რომ დებულებიდან გამომდინარე, ლოგოკურად ასისტენტ–პროფესორი არ შეიძლება დაინიშნოს ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თაბამდებობაზე.

3. სრულმა პროფესორმა **ელენე ხარაბაძემ** აღნიშნა, რომ დღეისათვის და უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები (განათლების კანონი, თსუ რექტორის არჩევნები), რომელიც შესაბამისად შეეხება უნივერსიტეტსაც. ამიტომ მან არ მიიჩნია ამ ეტაპისათვის აუცილებლად კანდიდატების დასახელება. შესაბამისად მოითხოვა კენჭისყრაზე დადგეს საკითხი იმის შესახებ, რომ კანდიდატების დასახელება სექტემბრის თვისთვის გადაიდოს.

4. ასოცირებულმა პროფესორმა **ია ნაცვლიშვილმა** აღნიშნა, რომ იგი იზიარებს ქალბატონ ელენე ხარაბაძის მოსაზრებას და ამასთანავე განმარტა შემდეგი: თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას კანდიდატების წარდგენის შესახებ, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი სამი კანდიდატიდან ხსნის მის კანდიდატურას, ვინაიდან მას მიიჩნია, რომ ხმები დაიყოფა და ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას.

5. დეკანმა **აკაკი ხელაძემ** განმარტა, რომ კენჭისყრა იმართება მაშინ, თუ სამზე მეტი კანდიდატი იქნება წარდგენილი და ამ ეტაპზე მისი ჩატარება არ არის საჭირო.

6. სრულმა პროფესორმა **თეიმურაზ შენგელიამ** აღნიშნა, რომ ეთანხმება პროფესორ ელენე ხარაბაძის მოსაზრებას. განმარტა, რომ მოსალოდნელია ორი მნიშვნელოვანი აქტი სრტუქურული ცვლილებების რექტორის არჩევნების სახით და ახალი განათლების კანონი რადიკალურად შეცვლის სიტუაციას. მან მიიჩნია, რომ აჩქარება არ არის საჭირო. ცვლილებების ფონზე წარმოდგება ფაკულტეტის განვითარების ახალი სტრატეგია, რაც უახლოეს მომავალში ახალი არჩევნების წინაშე დაგვაყენებს. გამომდინარე აქედან, მან მხარი არ დუჭირა კანდიდატების წარდგენას და მოითხოვა მისი გადადება.

7. ასოცირებულმა პროფესორმა **მარინე ნაცვალაძემ** აღნიშნა, რომ იგი აპირებს ხმა მისცეს დასახელებული კანდიდატურებიდან ერთ-ერთს, რადგან ორივე პროფესიონალები არიან და ხსნის მის კანდიდატურას.

8. დეკანმა **აკაკი ხელაძემ** განმარტა, რომ როგორც დეკანს შეექმნა პრობლემა და საჭიროა აღნიშნული არჩევნების დროული ჩატარება. ამ ეტპზე კანდიდატების არჩევა არ მოხდება, მხოლოდ სახელდება წარსადგენი კანდიდატები.

9. სრულმა პროფესორმა **ელგუჯა მექვაბიშვილმა** აღნიშნა, რომ ორი კანდიდატი უარს აცხადებს და მოხსნა კანდიდატურა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საჭიროა კიდევ ერთხელ დაზუსტდეს კანდიდატების მოხსნის შესახებ ინფორმაცია.

10. დეკანმა **აკაკი ხელაძემ** დააზუსტა კანდიდატები: ასოცირებული პროფესორი მარინე ნაცვალაძე, ასოცირებული პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი.

11. სრულმა პროფესორმა **ელენე ხარაბაძემ** მოითხოვა კენჭისყრაზე დადგეს საკითხი კანდიდატების დასახელება სექტემბრის თვისთვის გადადების შესახებ.

12. ასოცირებულმა პროფესორმა **ხათუნა ბარბაქაძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე აკადემიური პერსონალის არჩევნები ამ ეტაპზე ზღუდავს არჩევნებში სხვა კანდიდატებისთვის მონაწილეობის მიღებას.

გაიმართა კენჭისყრა წინადადებაზე: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატების წარდგენის ვადის სექტემბრისთვის გადატანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

დადებითი – 13;

წინააღმდეგი – 9;

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო – 9

დაადგინეს: **თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატების წარდგენის საკითხი გადაიდოს სექტემბრისთვის.

აზრი გამოთქვა:

1. სრულმა პროფესორმა **გიორგი ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება 13 ხმით არ არის ლეგიტიმური და გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული.
2. ასოცირებულმა პროფესორმა **ჩარიტა ჯაშმა,** სრულმა პროფესორმა **რეზო გველესიანმა** აღნიშნა, რომ არჩევნები დაემსგავსა თამაშს და საბჭოს წევრებს მოსთხოვა პასუხი რატომ შეიქმნა ასეთი სირთულე, როცა სამივე დასახელებული პიროვნება ღირსეული კანდიდატია.
3. სრულმა პროფესორმა **ეთერ ხარაიშვილმა** მოითხოვა პასუხი დღის წესრიგის დაირღვევის შესახებ.
4. დეკანმა **აკაკი ხელაძემ** განმარტა, რომ პოზიცია უნდა დააფიქსიროს საბჭოს ყველა წევრმა და საკითხი დააყენა ხელმეორედ კენჭისყრაზე.

მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატების წარდგენის ვადის სექტემბრისთვის გადატანის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 12; წინააღმდეგი – 11;

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო – 8

დაადგინეს: **1.** ფორმალურად მიღებულ იქნას შედეგი: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატების წარდგენა გადაიდოს სექტემბრისთვის;

2. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნას შესაბამის სამსახურთან იურიდიული კონსულტაციის შედეგად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ჩავლეიშვილი